ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დანართი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ თბილისის # 220 საჯარო სკოლა. ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

მისამართი : თბილისი, ცხრა ძმის ქუჩა #58

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:

- [x] დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [x] საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- [ ] მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

სსიპ ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის მისიაა მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლების მიცემა. მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება, ქვეყნის კულტურული და ტრადიციებისადმი პატივისცემის გაღვივება, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა, გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, კულტურული ფასეულობების მიმართ პატივისცემისა და ოჯახის, საზოგადოების, გარემოსა და სახელმწიფოს წინაშე უფლება-მოვალობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

სკოლა მიზნად ისახავს აღზარდოს ანალიტიკურად მოაზროვნე, მრავალმხრივად განვითარებული, მოტივირებული, მაღალი აკადემიური განათლების, ტოლერანტი და კანონმორჩილი პიროვნება, რომელიც შეძლებს როგორც სხვისი ასევე საკუთარი ქვეყნისა და კულტურის წარმოჩენას, მიიღებს მაღალ, დასავლურ სტანდარტებთან მიახლოვენბულ, ხარისხიან, ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებულ განათლებას და ყოველივე ამის საფუძველზე, საკუთარ წვლილს შეიტანს საზოგადოების წინსვლასა და ქვეყნის ინტეგრაციაში.

სკოლა მოწოდებულია უზრუნველყოს მასწავლებელთა და მშობელთა ჩართულობა, განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობაში დაამკვიდროს თანამედროვე საგანმანათლებლო მიღწევები, რომლებიც ორიენტირებული იქნება, სკოლაში სწავლის ხარისხის ამაღლებასა და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე.

ჩვენი სკოლისთვის მნიშვნელოვანია კურსდამთავრებული იყოს დამოუკიდებელი პოროვნება, გონიერი, დემოკრატიული ფასეულობების ერთგული, მაღალი პასუხიმგებლობის მქონე მოქალაქე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

შეფასება:

სკოლის მიერ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა არ იყო სრულყოფილი და აკლდა რამოდენიმე შემადგენელი ნაწილი, თუმცა სკოლამ ვიზიტის დროს ადგილზე წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც სრულად შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ცენტრში წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის მისია და მისია საფეხურების მიხედვით, რომელიც აღწერს საფეხურიდან-საფეხურზე გადასვლისას მოსწავლესთან მისაღწევ შედეგებს. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით დგინდება, რომ 2019-2020 სასწავლო წლისთვის I-VI კლასებში მოსწავლეთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა არის 29 მოსწავლე, ხოლო VII – XII კლასებში - 35 მოსწავლე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე.

ე.ს.გ-ის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ს.ს.გ-ის ნაწილებია:

ა) მისია;

ბ) სასკოლო საათობრივი ბადე,

გ) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების, დონეებისა და საგნების მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დ) მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი,

ე) ე.ს.გ-ით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა

ვ) ე.ს.გ-ით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;

ზ) მე-9 და მე-11 კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ პროფ. ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი, ასევე პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგი;

თ) საჭიროების შემთხვევაში ი ს. გ-ა.

სკოლის მიერ, ცენტრში წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში არ იყო მკაფიო სასწავლო პროცესის დაწყებისა და დასრულების დრო კლასებისა და ცვლების მიხედვით. ასევე III – XII კლასებში გაკვეთილების ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო 40 წუთით, მაშინ, როცა ე.ს.გ-ის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ორ და მეტცვლიან სკოლებში დასაშვებია გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვროს 40 წუთით იმ შემთხვევაში, თუ სკოლას

მოსწავლეები ჩართული ჰყავს არაფორმალურ აქტივობებში შესაბამისი მიმართულებით, რაც არ დასტურდება წარმოდგენილი ს.ს.გ-ით. თუმცა ადგილზე წარმოდგენილი იყო სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც მსგავსი ხარვეზები აღმოფხვრილი იყო.

თვითშეფასების კითხვარში მითითებული 8 კათედრის ნაცვლად ს.ს.გ-ში განსაზღვრულია 7 კათედრის ფუნქციონირება, სადაც არასწორად არიან გადანაწილებული მასწავლებლები. მაგ: სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა გაერთიანებულია, რადგან სპორტის 1 მასწავლებელი ჰყავთ, თუმცა თვითშეფასების კითხვარში 8 კათედრა ფიქსირდება. როგორც აღმოჩნდა დაშვებული იყო უზუსტობა, რომლის აღმოფხვრაც დასტურდება ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

თვითშეფასებაში სკოლა აღნიშნავს, რომ აქვს დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა წარმოდგენილი, ე.ს.გ-ით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი მომსახურება და მომსახურების საათობრივი ბადე; ე.ს.გ-ზე დაყრდნობით შემუშავებული ი.ს.გ ასეთის არსებობის შემთხვევაში და სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირების კრიტერიუმები; დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა;

თუმცა ვიზიტისას სკოლამ მატერიალურად წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა ზემოაღნიშნულის დაზუსტებებით. ასევე „სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების, შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები“, კითხვარები და შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები. საგანობრივი კათედრებისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით დაზუსტდა, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას სკოლის მისიის შესასრულებლად უფრო კონკრეტული აქტივობები გაწეროს სასკოლო სასწავლო გეგმაშიც, იმ მოსწავლეთა კონტიგენტის გათვალისწინებით რომელსაც სკოლის ავტორიზაციის შემთხვევაში მიიღებს.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- თვითშეფასების კითხვარით;
- ინტერვიუირებით

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლაში 2019-2020 სასწავლო წლიდან სწავლება განხორციელდება:

1. დაწყებით;
2. საბაზო;
3. საშუალო საფეხურებზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ყველა იმ სავალდებულო საგანს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებული.

წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა არ მოიცავდა ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ, თუმცა ინტერვიუს დროს დირექტორმა განმარტა, რომ დამატებით მომსახურება, მისიის შესაბამისად, აუცილებლად იქნება შეთავაზებული, მხოლოდ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და შესაბამისად ცვლილება შევა სასკოლო სასწავლო გეგმაში.

დამატებით ადგილზე მოწოდებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლა სპორტის სახეობებად განსაზღვრავს ბადმინტონს, ფრენბურთს და მძლეოსნობას რომლებსაც განიხილავს გოგონებისთვის და ბიჭებისთვის გუნდური და ინდივიდუალური სპორტის სახეობების თანაბრად დაუფლების შესაძლებლობად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია ბუნდოვნად ჩანდა ცენტრში გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში, თუმცა სკოლამ ექსპერთა ვიზიტის პირველივე დღეს წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები.

სკოლაში ფუნციონირებს შვიდი საგნობრივი კათედრა:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. მათემატიკისა და ისტი;
3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

4. უცხოური ენები;

5. საზოგადოებრივი მეცნიერები;

6. ესთეტიკური და სპორტის კათედრა;

7. დაწყებითების კათედრა.

ხოლო არჩევითი საგნის მასწავლებლები ერთიანდებიან შესაბამისი კათედრების გაერთიანებაში.

დოკუმენტაციის მიხედვით გაირკვა რომ კათედრის სხდომები ჩატარდება სემესტრში მინიმუმ ორჯერ. (მათ შორის სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით).

სადამრიგებლო პროგრამაში, გაწერილია ის სავალდებულო პუნქტები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებული, თუმცა არ არის დაზუსტებული კონკრეტული კლასების დამრიგებლები და რეკომენდაციები სადამრიგებლო საათების ჩატარებისთვის.

დირექციასთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შეძენის გამომუშავებისთვის დიდ როლს ანიჭებს დამრიგებლებს.

სკოლამ დამატებით წარმოადგინა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა IX და XI კლასების მოსწავლეთათვის. დოკუმენტში გაწერილია გაკვეთილის გეგმები შესაბამისი მიზნითა და შედეგით.

დასტურდება:

•სასკოლო სასწავლო გეგმით;

•ინტერვიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

შეფასება:

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლება, რომელშიც გათვალსიწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, სსსმ მოსწავლის მიერ ინდ. გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლების პუნქტები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

1.4. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლის შეფასების სისტემა, რომლის მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც ერთის მხრივ გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, მეორე მხრივ სწავლა - სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. ასევე სსგ შეფასების ნაწილში განხილულია მოსწავლის შეფასების ამოცანები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები, საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები), შემაჯამებელი დავალებების,

ქულების გამოანგარიშების, კლასებისა და საფეხურის დაძლევის, შეფასებისა და გაცდენების წესები.

ცენტრში წარმოდგენილ დოკუმენტში სკოლას აქვს ესგ შესაბამისად შემდეგი გამოცდების ტიპები:

- სემესტრული გამოცდა;
- საშემოდგომო გამოცდა;
- ექსტერნის გამოცდა;
- სკოლის გამოსაშვები გამოცდა.

2019-2020 სასწავლო წელს სკოლაში წლიური გამოცდა არ იგეგმება.

ასევე საშემოდგომო გამოცდებს სკოლა ჩაატარებს ტესტირების ფორმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიურებიდან ირკვევა, რომ სკოლა მოსწავლეთა მიღების შემდეგ კიდევ უფრო დააკონკრეტებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებელ გზებს, მოსწავლეთა საჭიროებებზე დაყრდნობით. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში სადამრიგებლო პროგრამის ნაწილში დამრიგებლის მოვალეობად გაწერილია: აქტიურად თანამშრომლობა მშობლებთან, სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა მოსწრებისა და ქცევის შესახებ ინფორმაციის სისტემატიურად შეგროვება, თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების კონტროლი.

სკოლის მიერ მატერიალური სახით წარმოდგენილი იყო სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი: 1. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში გაწერილია რუბრიკის ფორმები, რომელიც მოიცავს ინდიკატორებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის სქემა - სასკოლო ღონისძიებების ჩამონათვალი. სკოლას გამოყოფილი აქვს პრიორიტეტები და შეაბამისი ზოგადი აქტივობები. მაგალითად: კულტურული მრავალფეროვნება - გასვლითი ღონისძიებები, ექსკურსიები, საერთაშორისო პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, საქართველოს სხვა სკოლებთან თანამშრომლობა, ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა და ა.შ.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. პედაგოგებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ ისინი გეგმავენ მრავალფეროვანი შემაჯამებელი დავალებების ჩატარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

- ინტერვიურებით;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

შეფასება:

სკოლის შინაგანაწესის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტში გაწერილია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეები: ყოველი პარასკევი 13:00 საათიდან 17:00 საათამდე (გარდა წინასწარ დაბარებული პირებისა). სხვა დღეებში მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ეზღუდება თავისუფალი გადაადგილება სკოლის შენობაში, სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. ნებისმიერ საკითხზე დირექციასთან ვიზიტი დასაშვებია ყოველდღე (ორშაბათი-პარასკევი) 15:00 საათიდან 17:00 საათამდე. მე-5 პუნქტის თანახმად აღნიშნული წესი არ ვრცელდება სსსმ მოსწავლის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე ს.ს.გ-ის სადამრიგებლო პროგრამაში დამრიგებლის ერთ-ერთ მოვალეობად განსაზღვრულია მშობლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ.

დასტურდება:

- სკოლის შინაგანაწესი;
- ს.ს.გ
- ინტერვიურებით;

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

დაწესებულებამ დამატებით, მატერიალური სახით, წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომ გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტი. პედაგოგებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ კათედრის სხდომაზე გაეცნენ სკოლის სასწავლო გეგმას, თუმცაღა მის შექმასა და გაუმჯობესების გზებზე უფრო მეტად დირექციის ჩართულობა იკვეთება.

დასტურდება:

- სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი;
- ინტერვიურება.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი.

შეფასება:

დაწესებულება მდებარეობს ქ. თბილისში, ცხრა ძმის ქუჩა #58. თუმცა ვიზიტის დროისთვის საჯარო რეესტრში ამ მისამართზე არსებული ფართი არ იყო რეგისტრირებული. შესაბამისად ვერ მოხერხდა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცნობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 5 აგვისტოს N159/ნ ბრძანების - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის დაფუძნებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საფუძველზე, დაფუძნდა სსიპ - ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლა, მისამართზე - ქ. თბილისი, 9 ძმის ქუჩა N58. ამ მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.16.03.006.011) არსებობდა სსიპ ქალაქ თბილისის N3 საჯარო სკოლა, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 ივლისის ბრძანება N116/ნ–ის საფუძველზე რეორგანიზაცია მიერთების გზით შეერწყა სსიპ ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლას. ვიზიტის მომენტისთვის, თვითშეფასებაში წარმოდგენილი ამონაწრი საჯარო რეესტრიდან #01.16.03.006.011. ეკუთვნის მოსარგებლე #2 საჯარო სკოლას მდებარე: თბილისი, ცხრა ძმის ქ. #58.

მიუხედავად იმისა, რომ სსიპ თბილისის #220 საჯარო სკოლას თვითშეფასების დოკუმენტში მითითებული ჰქონდა შენობის და მიწის ფართი. ადგილზე ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ ახლადაშენებული შენობა მერიის ზედამხედველობის სამსახურს ექსპლუატაციაში არ აქვს მიღებული, რაზედაც გაცემულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება #000670 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

ინტერვიუებით ირკვევა, რომ სამშენებლო პროექტში შეტანილი შეუთანხმებელი ცვლილებების გამო, # 2 საჯარო სკოლა დაჯარიმდა 15 000 ლარის ოდენობით. ვიზიტის მომენტისთვის ეს ჯარიმა არ იყო გადახდილი. (იხ.დანართი #1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება #000670 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.) აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ უნდა მოხდეს შენობის ექსპლუატაციაში მიღებისა და #2 საჯარო სკოლიდან #220

საჯარო სკოლის ბალანსზე გადაცემის პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სკოლას არ გააჩნია ევაკუაციის გეგმა და შესაბამისად არც არის გამოკრული სართულებზე, აზომვითი ნახაზი, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა.

დასტურდება:

•ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 01.16.03.006.011 20/07/2015 წ

•ვიზუალური დათვალიერება

•ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება #000670 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

შეფასება:

დაწესებულებას აქვს 12 საკლასო ოთახი. თორმეტივე საკლასო ოთახისთვის არის მასწავლებლის მაგიდა და სკამი გათვალისწინებული. 10 საკლასო ოთახში განთავსებული 30 ერთადგილიანი მერხი და 30 სკამი, ხოლო 2 საკლასო ოთახში კი 35 ერთადგილიანი მერხი და 35 სკამი. სულ 370 ერთადგილიანი მერხი და ამდენივე სკამი. სკოლას აქვს დასაწყობებული კიდევ 93 ერთადგილიანი მერხი და 100 სკამი. თუმცა, დოკუმენტურად (მიღება-ჩაბარების აქტებით) დასტურდება 528 მერხის და სკამის არსებობა. ყველა საკლასო ოთახში კედელზე დამაგრებულია სასკოლო დაფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სკოლა გეგმავს ორ ცვლაში მუშაობას. ცხრილის მიხედვით პირველ ცვლაში იქნება 1-12 კლასები, ხოლო მეორე ცვლაში 1-6 კლასები. მიუხედავად ფაქტობრივი და დოკუმენტური მდგომარეობის სხვაობისა, არსებული ინვენტარი საკმარისია ჯამში (ორივე ცვლაში) 530 მოსწავლის მისაღებად.

ამის გარდა დაწესებულებაშია ოთახები განკუთვნილი: ბიბლიოთეკისთვის, სამასწავლებლოსთვის, სამედიცინო საჭიროებისთვის, დარაჯისთვის, სასადილოს, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისთვის. სკოლას გააჩნია დამხმარე ოთახი და 2 დიდი ფართი (სარეკრეაციო ზონა) რომლებიც სავსებით შესაძლებელია გამოიყენონ ფიზიკური აღზრდისა და საკლუბო მუშაობებისთვის. ვიზიტის დროს ზემოაღნიშნული ოთახები არ იყო ათვისებული და მოწყობილი.

დასტურდება:

•ვიზუალური დათვალიერებით;

•სასაქონლო ზედნადებებით;

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

შეფასება:

სკოლას აქვს სპორტული დარბაზი. დარბაზს გააჩნია გასახდელები გოგონებისა და ვაჟებისთვის, სადაც მოწყობილია სველი წერტილები. სველი წერტილები გათვალისწინებულია სპეციალური საჭიროების მოსწავლეებისთვისაც. დოკუმენტაციის შესწავლისას სკოლას არ აღმოაჩნდა არჩეული სპორტის სახეობებისთვის საჭირო სპორტული ინვენტარი გარდა 20 ცალი გადასაცმელისა და 20 ცალი ე.წ.„ფიშკისა“ .

დასტურდება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიურებით;
- მიღება-ჩაბარების აქტებით;

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

შეფასება:

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ვიზიტის დროს ლაბორატორია არ იყო გამართული, თუმცა სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები), რაც ასევე დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებითაც.

აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ ცენტრში წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს, რომ ლაბორატორიულ კლასში მოწყობილია გამწოვი, რაც დათვალიერებით არ დასტურდება. ყველა საკლასო ოთახში არის საჰაერო მილი.

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას გააჩნია ქიმიური ჭურჭლის განსათავსებლად შესაბამისი კარადები და 20 ცალი კომიუტერი.

დასტურდება:

•ვიზუალური დათვალიერებით;

•მიღება ჩაბარების აქტებით;

•ინტერვიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

დაწესებულებას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლაში დამონტაჟებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის სისტემა. სკოლას მიეწოდება ასევე ბუნებრივი აირი და წყალი, თუმცა ვიზიტის ,მომენტისთვის, ვინაიდან სკოლის შენობა არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული, კომუნალური სისტემები გათიშული იყო. სკოლას აქვს 22 სველი წერტილი, მათ შორის ერთი ადმინისტრაციისათვის და 5 ადაპტირებული სსსმ მოსწავლეთათვის. საქვაბე დაშორებულია სასწავლო კორპუსიდან .

დასტურდება:

•ვიზუალური დათვალიერებით;

•გადახდის ქვითრებით.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლამ მატერიალური სახით წარმოადგინა ბიბლიოთეკის დებულება. აქვთ ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი ფართი, რომელიც ვიზიტის დროს არ ფუნქციონირებდა. ბიბლიოთეკაში სამკითხველო და წიგნსაცავი სხვადასხვა სივრცეშია.

სკოლა გეგმავს მკითხველთა ფორმულარების გაკეთებას. ბიბლიოთეკაში არის ყველა კლასის და ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოები. სკოლა გეგმავს ბიბლიოთეკის შევსებას სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით.

ვიზიტის დროს, ვიზუალური დათვალიერებისა და დოკუმენტების გაცნობის შედეგად აღმოჩნდა, რომ თვითშეფასების კითხვარში აღწერილი გარემოება არ შეესაბამება რეალურს, კერძოდ, ზემოაღნიშნულიდან სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები გადაცემის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტით.

დასტურდება:

•ვიზუალური დათვალიერებით;

•ბიბლიოთეკის დებულებით;

•სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტებით

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის. სკოლის პირველ სართულზე, კიბის უჯრედში განთავსებულია ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ყველა სართულზე მოხვედრას და სველი წერტილები, რომელიც განთავსებულის შენობის პირველ, მეორე და მესამე სართულებზე.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

შეფასება:

სკოლამ წარმოადგინა 20 ცალი კომპიუტერული ტექნიკის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტი), რაც ასევე დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებითაც.

სკოლაში არის სულ 20 პერსონალური კომპიუტერი. არც ერთი კომპიუტერი არ არის ინტერნეტში ჩართული, ქსელი გაყვანილია და დამონტაჟებულია გამანაწილებელი მოწყობილება. ჩვენი ვიზიტისას მიმდინარეობა კომპიუტერების დამონტაჟება. სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში.

ინტერვიურებით ირკვევა, რომ სკოლამ ვებ. გვერდის შესამნელად მიმართა საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

•ვიზუალური დათვალიერებით;

•სასაქონლო ზედნადებებით;

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინა- აღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებე- ბისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება- ექსპლუატაციის წესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

ვინაიდან სკოლის შენობა ვიზიტის მომენტისთვის არ იყო მიღებული ექსპლუატაციაში, ვერ მოხერხდა საევაკუაციო გეგმების გაკეთება, შესაბამისად, ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სკოლაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმები, რომელიც დამზადებულია შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურის მიერ.

სკოლის შენობებში ყველა სართულის დერეფანში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები.

გ) სკოლის დებულებაში გაწერილია ექიმის ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები. სკოლაში არის სამედიცინო ოთახი, თუმცა ვიზიტის დროისთვის არ იყო სათანადოდ აღჭურვილი

დ) სკოლას ჰყავს დარაჯი , რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება

ე) სკოლაში დამონტაჟებულია სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი უსაფრთხოების კამერები, რომლებიც სრულად ვერ უზრუნველყოფენ სკოლის შიდა პერიმეტრის კონტროლს. აღსანიშნავია, რომ კიბის უჯრედები, სპორტული დარბაზთან და სააქტო დარბაზთან მისასვლელი უჯრედები არ არის გაკონტროლებული. სკოლას აქვს 7 ერთეული შიდა ხედვის კამერა, 7 გარე ხედვის კამერა. გარე ხედვის კამერები აკონტროლებენ სკოლის მთავარ შესასვლელს და პერიმეტრს. გარე კამერები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

დასტურდება:

•ვიზუალური დათვალიერებით;

•დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

•სკოლის ექიმის დებულება

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს წესდება და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი, სადაც გაწერილია თანამშრომელთა მიღების, სხვა სამუშაოზე გადაყვანის და დათხოვნის წესი, სამუშაო დრო და პირობები, შვებულების მიცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, თანამშრომელთა ინფორმირების წესი, სამსახურში არყოფნის ინფორმირების წესი და ღონისძიებები, წახალისება, შრომის დისციპლინის დარღვევა, მასწავლებლის, მშობლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლის ვალდებულებები, მოსწავლის წახალისება და შეუფერებელი ქცევის შედეგები, სკოლის შიდა კონტროლის სისტემა. სკოლას აქვს საშტატო განრიგი, რომელიც შეესაბამება სკოლის შინაგანაწესს.

დასტურდება:

•სკოლის შინაგანაწესით;

•სკოლის წესდება;

•სკოლის საშტატო განრიგით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

შეფასება:

დაწესებულებამ მატერიალური სახით წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმა 2019 – 2024 წწ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სკოლის მიზნებზე დაყრდნობით, გამომდინარეობს სკოლის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმიდან და მიზნად ისახავს სკოლის ამოცანების შესრულებას. წარმოდგენილი დოკუმენტი განსხვავდებოდა ცენტრში წარმოდგენილი ცენტრში წარმოდგენილი გრძელვადიანი და სამოქმედო გეგმის პროექტებისგან.

დასტურდება:

•ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;

•ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუებით;

•სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმით.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა შეფასება:

სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მატერიალური სახით. იწარმოება შემდეგი აღრიცხვის ჟურნალები: სხვადასხვა ტიპის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები, შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, რომლებიც აკინძულია წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

თვითსეფასების კითხვარში მითითებული EFLOW DA ESCHOOL-ის სისიტემები არ ფუნქციონირებს ინტერნეტისა და ტოკენის არ არსებობის გამო.

დასტურდება:

•თანამშრომელთა ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალით;

•შემოსული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალით;

•გასული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალით;

•საკადრო ტიპის ბრძანებების ჟურნალით;

•საერთო ტიპის ბრძანებების ჟურნალით.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

შეფასება:

სკოლას შემუშავებული აქვს 2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავს სკოლის დირექცია, რომლის შემადგენლობაში შედის:

სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე - 1, ბუღალტერი - 1. ასევე სკოლას 2019-2020 სასწავლო წლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული ჰყავს შემდეგი პერსონალი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ბიბლიოთეკარი - 1, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი-1, საქმისმწარმოებელი -1, მუშა -1, დარაჯი -2 , დამლაგებელი - 3, მასწავლებელი - 19, საინფორმაციო მენეჯერი - 1, ცეცხლფარეში - 1.

დადასტურდება:

•პირადი საქმეებით;

•ტექნიკურ პერსონალთან და პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და პირადი საქმეებით;

•2019-2020 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

•2019-2020 სასწავლო წლის შინაგანაწესის;

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

შეფასება:

სკოლის პედაგოგები შერჩეული არიან სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და განათლებოის, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება #174/ნ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. სკოლის ზოგიერთი პედაგოგის კვალიფიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეესაბამება საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სულ ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ 19 მასწავლებელთან, მათგან 9 უფროსი მასწავლებელია, 4 მაძიებელი და 6 უსტატუსო მასწავლებელი არ არის სქემაში ჩართული, რადგან სკოლა არ არის ჯერ ავტორიზებული, თუმცა აკმაყოფილებენ მასწავლებლის კვალიფიკაციას.

დასტურდება:

•პირადი საქმეებით.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

შეფასება:

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია: თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.

დასტურდება:

•სკოლის შინაგანაწესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

შეფასება:

სკოლამ წარმოადგინა პედაგოგებიის შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც ძალაში შევა სკოლის ავტორიზაციის მომენტიდან. ხელშეკრულება მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, სამუშაოს შესრულება, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზღაურება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, კონფიდენციალურობა, შრომითი დავების გადაწყვეტა, გარდამავლი დასკვნითი დებულებები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელომოწერა.

დასტურდება:

•მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულობებით;

•ადმინისტრაცია/დირექციასთან გაფორმებული ხელშეკრულება.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

შეფასება:

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარების დოკუმენტი. ხარისხის განვითარების დოკუმენტში გაწერილია აქტივობები, შესაბამისი შესრულების დროის, პასუხსიმგებელი პირი, ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარების მიმართულებები და მექანიზმები.

დასტურდება:

•სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

•ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

•ინტერვიუებით.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

შეფასება:

სკოლის ადმინისტრაციას აქვს ხედვა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუქმნას თანამშრომლობითი გარემო, გათვალისწინებული აქვთ სივრცეები მოსწავლეთა დამოუკიდებელი და საკლუბო მუშაობისთვის. ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას.

დასტურდება:

•ვიზუალური დათვალიერებით;

•სკოლის შინაგანაწესით;

•ინტერვიურებით.

თბილისი 08.11. 2019 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.